

# ურთიერთგაგების მემორანდუმი

ქ. თბილისი

19 მაისი 2014 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში "მთავრობა"), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ; და

მეორეს მხრივ, შპს „მარდიჲასი“ (შემდგომში "კომპანია"), საიდენტიფიკაციო კოდი: 445392986, წარმოდგენილი მისი დირექტორის რამაზ თურმანიძის (პ/ნ: 61001048485) მიერ;

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში "მემორანდუმი") შემდეგზე:

## 1. მიზანი

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ, წინამდებარე მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლა და მისი/მათი მშენებლობა, ფლობა, ოპერირება ამ მემორანდუმით და მხარეთა შორის შემდგომში შეთანხმებული პირობების მიხედვით (შემდგომში „პროექტი“).

## 2. პროექტის ვადები და პირობები

2.1. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერიდან 18 (თვრამეტი) თვეში უზრუნველყოფს:

ა) მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული მდინარეების ნიშნულების ფარგლებში ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის დასრულებას მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადების შესაბამისად;

ბ) დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობასთან დაკავშირებით წინადადების საქართველოს მთავრობისთვის წარდგენას.

2.2. იმ შემთხვევაში, თუ 2.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესრულების შედეგად კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ, 2.1. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება უნდა შეიცავდეს:

ა) კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობაზე;

ბ) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის დადგმულ სიმძლავრეს და საშუალო წლიურ გამომუშავებას;

- გ) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის ადგილმდებარეობის ზუსტ კოორდინატებს და მდინარის შესაბამის ნიშნულებს;
- დ) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის დაწყების, მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების თარიღებს, აგრეთვე თითოეული ჰიდროელექტროსადგურისთვის განსახორციელებელი ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;
- ე) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ განხორციელებადობის კვლევებს და მასთან დაკავშირებულ სრულ დოკუმენტაციას, მათ შორის 2 მგვტ და მეტი ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის განთავსების შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს;
- ვ) წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ვადითა და ოდენობით სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-სათვის მისაყიდი ელექტროენერგიის ფასს.
- 2.3. 2.2. პუნქტის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან 2 (ორი) თვის ვადაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ კომპანიის მიერ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის საკითხს და იღებენ გადაწყვეტილებას ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ან მშენებლობაზე უარის შესახებ.
- 2.4. 2.3. პუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 2.3. პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვისა მხარეთა შორის იდება ხელშეკრულება (ხელშეკრულებები) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება“).
- 2.5. ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან კომპანია ვალდებულია დადგენილ ვადაში და პირობებით მშენებლობის ნებართვის საფუძველზე თითოეული ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარუდგინოს საბანკო გარანტია, ასაშენებელი ელექტროსადგურის ან ელექტროსადგურების კასკადის ჯამური დადგმული სიმძლავრის მიხედვით, ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ პერიოდისათვის დადგენილი კურსის შესაბამისად) ოდენობით (შემდგომში „სამშენებლო გარანტია“). ამასთან, სამშენებლო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)“ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. სამშენებლო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის საქციო კაპიტალის 15 (თხუთმეტი) პროცენტს.
- 2.6. მთავრობა, ამ მემორანდუმის დადებიდან 18 (თვრამეტი) თვის განმავლობაში კომპანიასთან წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცემს დანართი N1-ით გათვალისწინებული ნიშნულების ფარგლებში ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და

ოპერირების უფლებას სხვა პირს, გარდა 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.7. წინამდებარე მემორანდუმის 2.4 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების ვადის ამოწურვამდე მთავრობა არ გადასცემს სხვა პირ(ებ)ს დანართი N1-ით გათვალისწინებული იმ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას, რომლის მშენებლობაზეც კომპანიის მიერ მემორანდუმის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება ან/და ამ მემორანდუმის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შესაბამისი ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ. გარდა 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.8. მთავრობა უფლებამოსილია 2.6. ან/და 2.7 პუნქტებით დადგენილი ვადის გასვლამდე კომპანიის თანხმობის გარეშე გადასცეს დანართი N1-ით განსაზღვრულ იმ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას სხვა პირს, რომელზეც (რომელებზეც):

ა) მთავრობას გააჩნია დასაბუთებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ კომპანია ვერ უზრუნველყოფს დანართი N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ჩატარებას;

ბ) კომპანიამ დანართი N1-ით განსაზღვრულ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ზე დაარღვია მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ვადები (დანართი N2) და ასევე 4.2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული დამატებითი ვადები;

გ) კომპანიამ დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურ(ებ)იდან ერთ-ერთის მშენებლობაზე წერილობით უარი განაცხადა.

2.9. კომპანია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს მთავრობას მის ხელთ არსებული დანართი N1-ით გათვალისწინებული იმ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტები (მათ შორის ნახაზები) სრულად, უსასყიდლოდ, ექსკლუზიური საკუთრების უფლებით, თუ:

ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წინადადება არ იქნა წარდგენილი;

ბ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე;

გ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 2.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ხელშეკრულება;

დ) დადგა 2.8 პუნქტის შესაბამისი ნებისმიერი გარემოება.

2.10. მთავრობა უფლებამოსილია მოითხოვოს და კომპანია ვალდებულია დაეთანხმოს დანართი N1-დან და დანართი N2-დან იმ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის ამოღებას მდინარე ხოხნისწყალზე, რომელთა:

- ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად არ იქნა მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება;
- ბ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე;
- გ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 2.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ხელშეკრულება.

2.11. ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის განმავლობაში, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად აშენებული თითოეული ჰიდროელექტროსადგურის, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი ("ზამთრის პერიოდი")) წლიური გენერაციის 20 (ოცი) %-ის ექსკლუზიური რეალიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს შიდა (ადგილობრივ) ბაზარზე, რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.

### 3. მიწის საკუთრების უფლება და მშენებლობის ნებართვა

3.1. პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთ(ებ)ის კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილ წესით საკუთრებაში ან/და სანივთო უფლებით გადაცემას.

3.2. მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღმოუჩენს კომპანიას სათანადო დახმარებას ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის პროცესში, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.

### 4. პროექტის ხარჯები, ინფორმაციის მიწოდება

4.1. პროექტთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.

4.2. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დადების დღიდან ვალდებულია კვარტალში ერთხელ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარუდგინოს ანგარიში, რომელიც უნდა ასახავდეს კომპანიის მიერ დანართი N2-ით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროგრესს, რომელიც უნდა შეიცავდეს კონკრეტული კვლევის დასაბუთების შესახებ ინფორმაციას, მიღებულ შედეგებს, გაანგარიშებებს, გათვლებს, პარამეტრებს, გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების მითითებით. თუ აღნიშნული ანგარიში,

მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის შესაბამისი ხარისხის, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო წერილობითი შეტყობინების მეშვეობით კომპანიას უსაზღვრავს დამატებით გონივრულ ვადას 3 (სამი) თვემდე აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული დამატებითი დრო არ განაპირობებს 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაზრდას.

## 5. მემორანდუმის მოქმედება

5.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

5.2. მემორანდუმის მოქმედება შეწყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) დანართი N1-ით გათვალისწინებული იმ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის ნაწილში, რომელთა:

ბ.ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად არ იქნა მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.ბ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.გ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 2.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ხელშეკრულება 2.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე;

გ) თუ ადგილი ექნება 2.8. პუნქტის ერთი ან მეტი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს შესაბამის ჰიდროელექტროსადგურ(ებ)თან მიმართებაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.3. წინამდებარე მემორანდუმით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მემორანდუმის მოქმედების და კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ აუქმებს 2.9. პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებებს.

## 6. ცვლილებები

წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. თუ მემორანდუმის რომელიმე დებულება ძალას დაკარგავს, ეს არ იმოქმედებს მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

## **7. შეტყობინება**

მხარეების მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით (ორიგინალთან ერთად). შეტყობინება შევა ძალაში დაუყოვნებლივ მიმღების მიერ მისი მიღებისთანავე.

## **8. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება**

8.1. წინამდებარე მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.2. ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **9. ასლები, მემორანდუმის ენა**

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად.

## **10. ხელმოწერები:**

**"საქართველოს მთავრობა"**

კასა კალაბე

შპს „მარდიპაუსი“

რამაზ თურმანიძე

## დანართი N1

#	ჰესის დასახელება	მდინარე	მდინარის დონე, ზღვის დონიდან
1	ხოხნისწყალი ჰესი - 1	ხოხნისწყალი	285-195 მ.ზ.დ.
2	ხოხნისწყალი ჰესი - 2	ხოხნისწყალი	375-285 მ.ზ.დ.
3	ხოხნისწყალი ჰესი - 3	ხოხნისწყალი	675-375 მ.ზ.დ.

”საქართველოს მთავრობა“

კახა კალაშნიკოვი

შპს „მარტივუსი“

რამაზ თურმანიძე

**დანართი №2**

	ხელმო-წერილი 3 თვეში	ხელმო-წერილი 6 თვეში	ხელმო-წერილი 9 თვეში	ხელმო-წერილი 12 თვეში	ხელმო-წერილი 15 თვეში	ხელმო-წერილი 18 თვეში
<b>ჰესის დასახულება:</b>	ხოსნისწყალი ჰესი - 1/ხოსნისწყალი ჰესი - 2/ხოსნისწყალი ჰესი - 3					
ადგილობრივისა და მირითადი პარამეტრების განაკვეთები	X					
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება		X				
გეოლოგია, გეოფიზიკა			X	X		
სეისმური რისკის ანალიზი			X			
სამშენებლო მასალების კვლევა		X				
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები		X				
ჰიდრავლიკური კვლევები				X		
ალტერანტიული ანალიზი		X				
ტექნიკური დიზაინი					X	
ინფრასტრუქტურა					X	
ელექტროენერგიის გენერაცია და გამოყენება					X	
გადამცემ სისტემასთან დაკავშირება			X			
გარემოზე ზემოქმედების და სოციალური რისკების შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა						X
სამუშაოების მოცულობის უწყისი					X	
მშენებლობის ორგანიზირება					X	
ვაონომიკური ანალიზი						X
ფინანსური ანალიზი						X
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა						X
სამუშაო ძალის დატრენინგების გრაფიკი					X	
ტექნიკურ-ვაკონომიკური განხორციელებადობის კვლევის წარდგენა						X

**”საქართველოს მთავრობა“**

კახა კალაძე

შპს „მარდითაუსტ“

რამაზ თუმანიძე